მრჩეველი
სამედიცინო ცენტრი
ღიმბახის ჯგუფი

საქართველო, თბილისი, ესმა ონიანის 10
ტელ: +995 32 293 10 00
WWW.MRCHEVELI.COM
INFO@MRCHEVELI.COM

24-საათიანი შარდი, დანამატის გარეშე:

- შარდი გროვდება 24 საათის განმავლობაში, მაგალითად:
  - ➔ პირველ დღეს = დაწყება, 8:00
  - ➔ მეორე დღეს = დასრულება, 8:00
- შარდი შეაგროვეთ სუფთა ჭურჭელში (რეკომენდებულია სპეციალური კონტეინერი, სინათლისგან დაცული, შარდის მოცულობის შესაფასებელი დანაყოფებით);
- პირველი დღის დილის შარდი გადაღვარეთ (შარდის ბუშტი ბოლომდე დაცალეთ), ჩაინიშნეთ დრო (მაგ: 8:00);
- შარდის ყველა ულუფა შეაგროვეთ 24-საათიანი შარდის კონტეინერში, მეორე დღის დილის შარდის ჩათვლით (მაგ: 8:00);
- შეგროვების პროცესში შარდი შეინახეთ გრილ ადგილას ან მაცივარში (2-8°C);
- ჩაინიშნეთ 24 საათის განმავლობაში შეგროვებული შარდის მოცულობა (სიზუსტე მნიშვნელოვანია!);
- შეგროვებული შარდი კარგად გადაურიეთ და ამოიღეთ სპეციალური სინჯარით (მაგ: შარდის მონოვეტი, 10 მლ). სინჯარა სრულად შეავსეთ დანაყოფამდე (10 მლ), მჭიდროდ დაახურეთ თავსახური და მოატეხეთ დგუში;
- ლაბორატორიაში მიტანამდე სინჯარა შეინახეთ მაცივარში (2-8°C).